მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა

მოკლე მიმოხილვა

2015

unicef

70 YEARS FOR EVERY CHILD

© გაეროს ბავშვთა ფონდი
ნოემბერი, 2016 წ.

გაეროს ბავშვთა ფონდი
ერისთავის ქ. 9, გაეროს სახლი
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: 995 32 2 23 23 88, 2 25 11 30
ელ. ფოსტა: tbilisi@unicef.org
www.unicef.ge

ავტორი: ანასტასია მშვიდობაძე, გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტი
კვლევაში წვლილი შეიტანეს: თინათინ ბაუმმა (გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური პოლიტიკის სპეციალისტი საქართველოში), მარტინ ევანსმა (გაეროს ბავშვთა ფონდი, ნიუ იორკი), ჯოან ბოსვორთმა (გაეროს ბავშვთა ფონდი, ჟენევა), ცეზარ კანჩომ (ეკონომისტი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი)

წინამდებარე პუბლიკაციაში გადმოცემული კვლევის შედეგები, ინტერპრეტაცია და დასკვნები გამოხატავენ ავტორის მოსაზრებას და არ არის აუცილებელი ასახავდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის პოლიტიკას ან შეხედულებებს.

გარეკანის ფოტო: ვახტანგ ხეთაგური

წარმოდგენილი მოკლე ანგარიში მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მეოთხე ეტაპის შედეგებს ეფუძნება. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა ოჯახების პანელური გამოკითხვაა, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ყველა რეგიონს მოიცავს. 2015 წლის კვლევის ფარგლებში შესაბამისი კითხვარები 4533-მა შინამეურნეობამ შეავსო და მიღებული შედეგები რეპრეზენტატიულია ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული კვლევა შეისწავლის ისეთი სოციალური მოვლენების გავრცელების არეალს, როგორიცაა სამომხმარებლო სიღარიბე, მატერიალური დეპრივაცია, სუბიექტური სიღარიბე და სოციალური გარიყულობა. ამასთან ერთად, კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური ტრანსფერების როლსა და ბავშვთა კეთილდღეობას.

ამ ბოლო კვლევამ საქართველოში რამდენიმე **უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა** გამოავლინა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, 2014 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის ტემპის 50%-ით შენელებაა. იმის მიუხედავად, რომ მთლიანი მშპ 8.6%-ით გაიზარდა და 29.1 მილიარდ ლარს მიაღწია, ეს ზრდა ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ვარდნის შედეგად დაბალანსდა და 2015 წელს აშშ დოლარით გამოსახული ნომინალური მშპ 2.6 მილიარდი ლარით შემცირდა. კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ 2013-2014 წლებთან შედარებით, საქართველოში უმუშევრობა 2%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქებში უმუშევრობა კვლავაც ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. ეს ძირითადად სოფლის მეურნეობაში ფართოდ გავრცელებული თვითდასაქმებით აიხსნება. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით არაპროპორციულად მაღალია ახალგაზრდებს შორის - 2014 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 31%-ს უდრიდა.

2014 წელს საშუალო ნომინალური ხელფასი ოდნავ გაიზარდა და 818 ლარს მიაღწია. აღნიშნული ტენდენცია მამაკაცებს მეტად შეეხოთ, რამდენადაც მათი ხელფასი უფრო გაიზარდა, ვიდრე ქალებისა: მამაკაცების საშუალო ხელფასმა 980 ლარამდე მოიმატა, ქალების საშუალო ხელფასმა კი 617.9 ლარამდე. 2015 წლისათვის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 155.6 ლარით განისაზღვრა.

რაც შეეხება **შემოსავალსა და მოხმარებას,** 2015 წელს საქართველოში ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი 608.9 ლარს1 შეადგენდა. შედარებისთვის, 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 562.2 ლარი იყო. საშუალო თვიური შემოსავლები უფრო მაღალი იყო ქალაქებში (755 ლარი), ვიდრე სოფლებში (457 ლარი). ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით, შინამეურნეობის საშუალო მთლიანი შემოსავალი გასული ორი წლის განმავლობაში შემცირდა. რაც შეეხება შინამეურნეობების შემოსავალს ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ის ნომინალური გამოსახულებით ოდნავ გაიზარდა და 2015 წელს 265.2 ლარი შეადგინა (10 პროცენტიანი ზრდა 2013 წლიდან), ინფლაციის გათვალისწინების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება აღარ შეინიშნება. საშუალოდ, ქალაქებში ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე შემოსავალი 65%-ით უფრო მაღალია, ვიდრე - სოფლად. 2013 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში **შინამეურნეობის საშუალო ნომინალური თვიური მოხმარება** 22.4%-ით გაიზარდა. შინამეურნეობის საშუალო **მთლიანი შემოსავალი საშუალო მოხმარების** 74%-ს შეადგენს. შემოსავლების მხრივ უთანასწორობა 2013 წლის 0.41-დან 2015 წლისთვის 0.43-მდე გაიზარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა **მოხმარების უთანასწორობა** უცვლელი დარჩა.

1. 2015 წელს 1 ლარს ჰქონდა 0,873 დოლარის შესაბამისი მსყიდველობითი უნარი(საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზა „მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები“, 2015 წლის ოქტომბერი).

სიღარიბე

კვლევის ფარგლებში ასევე მოიძია მონაცემები **მონეტარული სიღარიბის** შესახებ. მთლიანობაში, ფარდობითი სიღარიბის გარდა, ყველა სხვა კატეგორიის სიღარიბის ზღვრებთან მიმართებაში კლების ტენდენცია აღინიშნება. რაც შეეხება უკიდურესი სიღარიბის ზღვარს (1.25 აშშ დოლარი დღეში, ანუ თვეში 77.6 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით), საქართველოს შინამეურნეობების 1.7%, მთელი მოსახლეობის 2.1%, პენსიონერთა 1.7% და ბავშვების 2.5% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. **ფარდობითი სიღარიბის** ზღვარს (მედიანური მოხმარების 60%, რაც ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით 171.8 ლარს შეესაბამება) ქვემოთ მცხოვრები ოჯახების რაოდენობა გაიზარდა 20.1%-დან 20.7%-მდე, ხოლო მთლიანი მოსახლეობისა - 22.9%-დან 23.1%-მდე. ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების წილმა ოდნავ დაიწია 27.1%-დან 26.8%-მდე. ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები პენსიონერების წილი 18.7%-დან 19.3%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, საქართველოში ოჯახების 16.4 %, მთელი მოსახლეობის 18.4%, პენსიონერების 15% და ბავშვების 21.7% **ზოგადი სიღარიბის** ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (ზოგადი სიღარიბის ზღვარია დღეში 2.5 აშშ დოლარი, ანუ თვეში 155.1 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით). რაც შეეხება **საარსებო მინიმუმს** (თვეში 139.8 ლარი ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით), 2015 წელს ოჯახების 11.9%, მთელი მოსახლეობის 13.3%, პენსიონერების 10.5% და ბავშვების 15.6% ამ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. **იმის მიუხედავად, რომ საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა, ყოველი მეექვსე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, სადაც შინამეურნეობის წევრთა მინიმალური საჭიროებები დაუკმაყოფილებელია**.

2015 წელს შინამეურნეობების 38.5%-ში მინიმუმ ერთი ბავშვი ცხოვრობდა. კვლევის ოთხივე რაუნდმა აჩვენა, რომ ბავშვიან შინამეურნეობებს შორის სიღარიბის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო. შინამეურნეობებში ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის მაჩვენებლებიც.

ფარდობითი სიღარიბის ზღვრით თუ ვიმსჯელებთ, ერთ ან ორბავშვიანი ოჯახების 24.5% სიღარიბეში ცხოვრობს. ეს ციფრი თითქმის 32%-მდე იზრდება, როცა საქმე სამ ან მეტ ბავშვიან შინამეურნეობებს ეხება. კვლევის შედეგად **კიდევ ორი საინტერესო გარემოება** გამოვლინდა: სიღარიბის ყველა დონეზე, ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი კვლავაც უფრო მაღალია, ვიდრე მთელი მოსახლეობის ან პენსიონერთა პროცენტული მაჩვენებელი. ამასთან ერთად, შინამეურნეობებში, მთლიან მოსახლეობასა თუ ბავშვებში სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი, როგორც წესი, პირდაპირ კავშირშია ოჯახებში ზრდასრულთა განათლების უფრო მაღალ დონესთან და შინამეურნეობაში

რეგულარულად დასაქმებული წევრის ყოლა ორჯერ და მეტად ამცირებს ბავშვთა ფარდობითი სიღარიბის რისკს.

მატერიალური დეპრივაცია: 2015 წელს დეპრივაციას შინამეურნეობათა მხოლოდ 5.6 % განიცდიდა. ამავე დროს, მატერიალური დეპრივაცია კვლავ უფრო მეტად ეხება პენსიონერებს (5.5%), ვიდრე ბავშვებს (2.8%) ან მთლიან მოსახლეობას (3.3%). თუმცა, თითოეული ჯგუფის მატერიალური დეპრივაციის ხარისხმა ამ ორი წლის განმავლობაში დაიკლო. რაც შეეხება **საცხოვრებლის მიხედვით დეპრივაციას,** მდგომარეობა გაცილებით უარესია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. ამასთან ერთად, 2015 წელს საცხოვრებლის მხრივ დეპრივაციაში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა 5.3 პროცენტული ერთეულით, 17.9%-დან (2013 წ.) 23.6%-მდე (2015 წ.) გაიზარდა. 2015 წელს სამომხმარებლო სიღარიბის მაჩვენებლების კლების მიუხედავად, ადამიანებში მაინც იმატა სიღარიბეში ყოფნის სუბიექტურმა განცდამ. ამგვარი **„სუბიექტური სიღარიბის“** მაჩვენებლები გაუარესდა და შეადგინა: მთლიანი მოსახლეობის 36% (2013 წ. - 24.3%), ბავშვების 37.2% (2013 წ. - 22.9%) და პენსიონერთა 40.1% (2013 წ. - 25.8%).

კვლევის თანახმად, შინამეურნეობებში უმუშევრობის დონე კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. ეს მაჩვენებელი ბავშვიან შინამეურნეობებში განსაკუთრებით მაღალია (35.9% ბავშვიან შინამეურნეობებში და 22.8% უბავშვო შინამეურნეობებში). 2015 წელს იმ ბავშვიან შინამეურნეობათა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ძირითადი პრობლემა სესხის ან საბანკო კრედიტის გადახდა იყო, 11%-დან 15.9%-მდე გაიზარდა, უბავშვო შინამეურნეობებში კი ამ მაჩვენებელმა, 2013 წელთან შედარებით, 6.6%-დან 10.1%-ს მიაღწია.

კვლევისას გამოვლენილი კიდევ ერთი პრობლემაა **წყალი და სანიტარული პირობები.** 2015 წელს მოსახლეობის 5% ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობდა, რომლებსაც წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე ხელი ჯერ კიდევ არ მიუწვდებოდათ, ხოლო 24% - შინამეურნეობებში, რომელთა სანიტარული პირობებიც არ გაუმჯობესებულა. პრობლემას წარმოადგენს **სოციალური გარიყულობაც**. შინამეურნეობების დონეზე, 2013 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ შეინიშნება სოციალური გარიყულობის არცერთ ასპექტში, თუ არ ჩავთვლით იმ ოჯახებს, რომლებიც პრობლემებს აწყდებოდნენ სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის მხრივ. 2013 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში მათი წილი 3%-ით შემცირდა. 39.7%-დან 44.1%-მდე გაიზარდა იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პრობლემას განიცდიან. აგრეთვე გაიზარდა კრედიტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე შინამეურნეობების წილი. კვლავ არაპროპორციულად ბევრი ბავშვი ცხოვრობს იმ შინამეურნეობებში, სადაც ზრდასრულთა საგანმანათლებლო საჭიროებები დაუკმაყოფილებელია. ამის საპირისპიროდ, პენსიონერები უფრო ჭარბობენ ისეთ შინამეურნეობებში, რომლებიც მიწის არქონისა და უმუშევრობის პრობლემას განიცდიან. მთლიანობაში, აღმოჩნდა, რომ 2015 წელს სოციალურ გარიყულობას განიცდიდა შინამეურნეობების 5%, მათ შორის მთლიანი მოსახლეობის 5.7%, ბავშვების 8.1% და პენსიონერთა 5.4%.



ხალხი ხარჯავს მეტს, მეტი ფულის ქონის გარეშე

რეალური (2009 წლის ფასი)

ახლად გაღარიბებული შინამეურნეობების მახასიათებლები

იმ პანელურ შინამეურნეობათა უმეტესობა, რომლებმაც 2013 წლის შემდეგ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა გადაინაცვლეს, დიდი ალბათობით, სოფლებში ცხოვრობს და, როგორც წესი, სხვა სახის დეპრივაციასაც განიცდის. მაგალითად, ალბათობა იმისა, რომ ასეთი შინამეურნეობები მატერიალურ დეპრივაციას განიცდიდნენ, სამჯერ უფრო მაღალია. რაც შეეხება **მოხმარების კვინტილებს შორის გადანაცვლებას,** 2013 წელს პირველ კვინტილში შემავალ პანელურ შინამეურნეობათა 44% 2015 წელს ისევ პირველ კვინტილში დარჩა, ხოლო 8 და 10-მა პროცენტმა, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე კვინტილებში გადაინაცვლეს. თუკი ერთმანეთს შევადარებთ შინამეურნეობების, მოსახლეობის, ბავშვებისა და პენსიონერების მოძრაობის დინამიკას, დავინახავთ, რომ **ღარიბი ბავშვების** ჯგუფი ყველაზე ნაკლებად დინამიურია: 2013 წლის პირველი კვინტილის ბავშვთა უდიდესი ნაწილი (56%) ისევ პირველ კვინტილში დარჩა, უმცირესმა ნაწილმა კი (6%) მეხუთე კვინტილში გადაინაცვლა.



სოციალური ტრანსფერები

საქართველოში ხანდაზმულობის პენსია საპენსიო ასაკის ყველა პირზე (65 წელს გადაცილებულ მამაკაცებსა და 60 წელს გადაცილებულ ქალებზე) გაიცემა. 2015 წელს ხანდაზმულობის პენსიის თვიური ბიუჯეტი 113 808 541 ლარს შეადგენდა და ის 705 122-მა ადამიანმა მიიღო. **მიზნობრივი სოციალური დახმარება** (TSA) წარმოადგენს ძირითად ფულად დახმარებას, რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსურად და მატერიალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის. 2015 წელს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის თვიური ბიუჯეტი 21 403 154 ლარი იყო. 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იყო 516 071 შინამეურნეობა (ანუ 1 597 511 ადამიანი, რაც მთლიანი მოსახლეობის 43%-ს შეადგენს), თუმცა მიზნობრივი სოციალური დახმარება მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 10%-მა მიიღო. 2015 წელს შინამეურნეობათა თითქმის ორმა მესამედმა მიიღო რომელიმე სახის სოციალური შეღავათი. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის, სწორედ **ბავშვები** არიან იმ ადამიანთა უდიდეს ნაწილი (40.1%), რომლებიც არანაირ შეღავათს არ იღებენ. 2015 წელს პენსიას შინამეურნეობების 56.3% იღებდა. მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები შინამეურნეობების რაოდენობა 13.8%-დან 11.3%-მდე შემცირდა[2]. კატეგორიებზე დაფუძნებული შეღავათების მიმღები შინამეურნეობების რაოდენობა კი იმავე პერიოდში ოდნავ გაიზარდა და 6.9% შეადგინა.

2. კვლევის წინა ეტაპების მონაცემებთან შედარების მიზნით, ეს რიცხვი ეფუძნება იმ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებ შინამეურნეობათა მონაცემებს, რომელთა მიერ მიღებული თანხის ოდენობა ცნობილია.

შემოსავლის, მოხმარების შედარება სუბიექტური სიღარიბის მაჩვენებლებთან



პენსიებისა და მიზნობრივი სოციალური დახმარების ზეგავლენა სიღარიბეზე

საქართველოში შინამეურნეობების თითქმის ნახევარს (57.4%) ერთი პენსიონერი წევრი მაინც ჰყავს. 2015 წელს პენსია შინამეურნეობების 56.3%-მა მიიღო. იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც საპენსიო ასაკის პირები ცხოვრობდნენ, მიღებული პენსიის საშუალო ოდენობა თითოეულ შინამეურნეობაზე თვეში 194.8 ლარს შეადგენდა. იმ შინამეურნეობებში, სადაც მხოლოდ ერთი პენსიონერი ცხოვრობდა, საშუალო პენსია საშუალო მოხმარების 50.9%-ს, ერთზე მეტი პენსიონერისგან შემდგარ შინამეურნეობებში კი - 57%-ს შეადგენდა. ამასთან ერთად, 2015 წელს შინამეურნეობების 38.5%-ში სულ მცირე ერთი ბავშვი მაინც იყო. ასეთი შინამეურნეობების მინიმუმ ნახევარს, ერთი პენსიონერი წევრი მაინც ჰყავდა. მეორე მხრივ, შინამეურნეობათა 57.4%-ში, სულ მცირე, ერთი პენსიონერი ცხოვრობდა და ასეთ შინამეურნეობათა ერთ მესამედს ჰყავდა ბავშვი. საქართველოში შინამეურნეობების 18.6%-ს ჰყავს როგორც პენსიონერი, ისე ბავშვი. თუკი პენსიის შემოსავალს შინამეურნეობის მოხმარების მაჩვენებლიდან ამოვიღებთ, უკიდურეს სიღარიბეში მყოფი პენსიონერების და ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება: პენსიონერების შემთხვევაში - 1.7%-დან 26.2%-მდე, ხოლო ბავშვების შემთხვევაში - 2.5%-დან 7.5%-მდე. პენსიები ყველაზე დიდ ზემოქმედებას პენსიონერებზე ახდენენ. რაც შეეხება **მიზნობრივ სოციალურ დახმარებას,** მათ 64.8%-ს უღარიბეს დეცილში შემავალი შინამეურნეობები იღებენ. ეს თანხა ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე, საშუალოდ, 73.3 ლარს უტოლდება. მიზნობრივი სოციალური დახმარება, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე, საშუალოდ, შინამეურნეობის მოხმარების 34.9%-ს შეადგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თუ მიზნობრივი სოციალური დახმარებით მიღებულ შემოსავალს გამოვაკლებთ შინამეურნეობის მოხმარების მაჩვენებელს, სიღარიბის მაჩვენებლები გაიზრდება. მიზნობრივი სოციალური დახმარების სახით გაცემული სოციალური ტრანსფერების გარეშე უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების წილი 2.5%-დან 8.9%-მდე გაიზრდება, ხოლო პენსიონერებისა - 1.7%-დან 4.7%-მდე. მიზნობრივი სოციალური დახმარება **ყველაზე დიდ ზემოქმედებას** ბავშვებზე ახდენს.

	პენსიონერი	ბავშვები	მოსახლეობა
სოციალური დაცვა: პენსიების ეფექტი პენსიებს ააქვთ ყველაზე დიდი ეფექტი პენსიონერებზე, ხოლო ყველაზე ნაკლები ბავშვებზე			
უკიდურესი სიღარიბე	1.7-დან 26.2-მდე	2.5-დან 7.5-მდე	2.1-დან 11.1-მდე
ზოგადი სიღარიბე	15-დან 49.4-მდე	21.7-დან 30.7-მდე	18.4-დან 31.9-მდე
სოციალური დაცვა: მიზნობრივი სოციალური დახმარების ეფექტი მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ააქვს ყველაზე დიდი ეფექტი ბავშვებზე			
უკიდურესი სიღარიბე	1.7-დან 4.7-მდე	2.5-დან 8.9-მდე	2.1-დან 6.3-მდე
ზოგადი სიღარიბე	15-დან 18.6-მდე	21.7-დან 25.9-მდე	18.4-დან 21.7-მდე

ჯანდაცვა

2013 წელს საქართველოს მთავრობამ დანერგა **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა**, რომელიც გარანტირებულ დახმარებას უწევს ყველა მოქალაქეს, ვისაც მკურნალობა სჭირდება. საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სხვადასხვა პაკეტებს მოიცავს. მოსახლეობის, დაახლოებით, 50% საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტით სარგებლობს, დაახლოებით მეოთხედი კი ასაკობრივი პაკეტის მფლობელია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ყველაზე გავრცელებული ტიპია მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებ პირთათვის განკუთვნილი მიზნობრივი პაკეტი. კორპორაციული, დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული ან კერძო დაზღვევები ქალაქად უფრო გავრცელებულია, ვიდრე სოფლად. მოსახლეობის თითქმის 7%-მა არ იცის, რომ მისი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოს მხრიდან დაფარულია, თუნდაც მინიმალური პაკეტით და შეცდომით მიიჩნევს, რომ არცერთი პროგრამის ბენეფიციარი არ არის.

შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული წლიური საშუალო ხარჯი 2015 წელს 346.8 ლარი იყო ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე (მედიანური 177 ლარი), რაც მნიშვნელოვანი ზრდაა 2013 წლის 243 ლართან შედარებით. ანუ კვლევის თანახმად, 2013 წელთან შედარებით, შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული საშუალო ხარჯი (ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე), ინფლაციის გათვალისწინებით, 31%-ით გაიზარდა. შინამეურნეობის მთლიან დანახარჯში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი აგრეთვე გაიზარდა 7%-დან 8.1%-მდე. ჯანდაცვაზე გაწეული საშუალო ხარჯების წილი (8.1%) კვლავ მთლიანი მოხმარების 10%-ზე ნაკლებია (რაც კატასტროფულ ხარჯად მიიჩნევა), თუმცა იმ შინამეურნეობების წილმა, რომელსაც კატასტროფული ხარჯები ჰქონდა, 2013 წლის 23 პროცენტიდან 2015 წლისთვის 29.8 პროცენტს მიაღწია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მედიკამენტების ხარჯებია. მართლაც, კვლევამ აჩვენა, რომ იმ შინამეურნეობათა წილი, რომლისთვისაც სამედიცინო მომსახურების გადასახადი ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, თითქმის განახევრდა 2013 წლის შემდეგ (53.24 პროცენტიდან 30.62 პროცენტზე დავიდა) და მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი წილი, ვისთვისაც მედიკამენტების შეძენა კვლავ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია უღარიბეს კვინტილში.



ეკონომიკურ სირთულეებთან თავის გართმევის სტრატეგიები

2015 წელს ეკონომიკურ მდგომარეობას გაუარესებულად შინამეურნეობების 44.9% აფასებდა, 2013 წლის 24.8 პროცენტთან შედარებით. ამ ცვლილების გამომწვევ ძირითად მიზეზებად ფასების ზრდა, სერიოზული ავადმყოფობა და შინამეურნეობის მიერ შემოსავლის დაკარგვა დასახელდა, ხოლო ეკონომიკურ სირთულეებთან თავის გართმევის ერთ-ერთ სტრატეგიად - სესხის აღება. საერთო ჯამში, 2 021-მა შინამეურნეობამ გვამცნო 2 198 სახის სესხის აღების შემთხვევის შესახებ (ბანკში ან ლომბარდში - 80.3%; ნათესავებისგან/მეგობრებისგან - 9.1% და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან - 8.3%). მოსახლეობის ქვედა კვინტილში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებიც ვალის ასაღებად ბანკებსა და ლომბარდებს მიმართავენ, რაც წარმოშობს ეჭვს და შეშფოთებას ღარიბი შინამეურნეობების მიერ სესხის დაფარვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი გამოთქვა იმ შინამეურნეობათა მხოლოდ 15.2%-მა, რომელსაც გარკვეული აზრი ჰქონდა ამ საკითხზე. 2013 წელს მათი წილი 38%-ს შეადგენდა. ამასთან ერთად, 2009 წლის შემდეგ აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. მეორე მხრივ, იმ შინამეურნეობათა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მომდევნო 12 თვის მანძილზე, ვერ შეძლებენ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, 47%-დან (2013 წ.) 72%-მდე (2015 წ.) გაიზარდა.

ბავშვის განვითარება

2015 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შერჩევაში მოხვედრილი შინამეურნეობების 38%-ს ჰყავს 16 წლამდე ასაკის, სულ მცირე, ერთი ბავშვი მაინც და ბავშვიანი შინამეურნეობების 46.8% სოფლებში ცხოვრობს. სიღარიბის ალბათობა ბავშვებში ჯერ ისევ უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასა თუ პენსიონერებში. ფაქტობრივად, ბავშვთა სიღარიბის დონე დაახლოებით 50%-ით მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. ბავშვების მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა ხანგრძლივი მოხმარების ნივთების თვალსაზრისით, თუმცა ცუდ მდგომარეობაში მყოფ საცხოვრებლებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. ფაქტობრივად, ბავშვიანი ოჯახებისთვის უმნიშვნელოდ გამოსწორდა მხოლოდ საცხოვრებელი ფართობის ზომასთან დაკავშირებული პრობლემა. თუ 2015 წელს მატერიალური და მონეტარული სიღარიბის დონეები შემცირდა, სიღარიბის სუბიექტური აღქმისა და სოციალური გარიყულობის დონეები გაიზარდა.

ამასთან ერთად, საქართველოს სოფლებში ბავშვების 6% ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს, რომლებსაც არ აქვთ გაუმჯობესებული სასმელი წყლის წყარო. ქალაქში მცხოვრები ბავშვების თითქმის 7 პროცენტი და სოფლად მცხოვრები ბავშვების 41.3 პროცენტი კი ისეთ შინამეურნეობებში ცხოვრობს, სადაც არც სანიტარული პირობები გაუმჯობესებულა. ამგვარ სანიტარულ პირობებში ხშირ შემთხვევაში იგულისხმება მოუპირკეთებელი ორმოიანი საპირფარეშოები. შინამეურნეობებს, სადაც ერთი ბავშვი მაინც ცხოვრობს, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით, ნაკლები შემოსავალი აქვთ და სოციალური ტრანსფერების შემთხვევაში განსხვავება ძალიან მაღალია: უბავშვო შინამეურნეობების სოციალური დახმარება ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით თვეში საშუალოდ 97.9 ლარია, ხოლო ბავშვიანი ოჯახებისა, საშუალოდ, 39.9 ლარი. ბავშვიანი შინამეურნეობების საშუალო მოხმარება 50%-ით უფრო მაღალია, ვიდრე იმ შინამეურნეობებისა, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ; თუმცა,

საბავშვო ბაღში დასწრება

3-5 წლის ასაკი

საბავშვო ბაღში დასწრება



ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გათვლით, ბავშვიანი შინამეურნეობები 20%-ით ნაკლებს მოიხმარენ.

2015 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შერჩევაში მოხვედრილი 3-5 წლის ბავშვების 62.3% დადიოდა საბავშვო ბაღში კვლევის წინა სასწავლო წლის განმავლობაში. საბავშვო ბაღების თითქმის ყველა აღსაზრდელი სახელმწიფო საბავშვო ბაღში დადის. საერთო ჯამში 3-5 წლის ბავშვების საბავშვო ბაღებში დასწრების მაჩვენებელი ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლებში (შესაბამისად 67.6% და 55.1%). თუკი საბავშვო ბაღში უმდიდრესი კვინტილის 3-დან 5 წლამდე ბავშვების თითქმის 70% დადიოდა, უღარიბეს კვინტილში ეს ციფრი მხოლოდ 51.8%-ს შეადგენდა. 3-დან 5 წლამდე ბავშვთა 18% ვერ იღებს სკოლამდელ მომსახურებას რაიონში საბავშვო ბაღის არარსებობის, ან დაწესებულებაში თავისუფალი ადგილების არქონის გამო. ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევები უფრო ხშირია სოფლად (20.7%), ვიდრე ქალაქად (1.9%).

3-5 წლის ბავშვების 83.3% უფროსებთან ერთად იყო ჩართული ოთხზე მეტ აქტივობაში, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვთა სწავლისა და სკოლისათვის მზაობას.

სკოლაში დასწრება



ამის მიუხედავად, ერთ, ან მეტ ასეთ აქტივობაში მამების ჩართულობის მაჩვენებელი მხოლოდ 34.7%-ია. ბავშვებთან მამების ურთიერთობის თვალსაზრისით, **გენდერული განსხვავება** არ არსებობს. ბავშვებთან დაკავშირებულ აქტივობებში უფროსთა ჩართულობა ყველაზე მაღალი სამეგრელოში იყო (100%), ყველაზე დაბალი კი - მცხეთა-მთიანეთში (66.5%). საქართველოში 36-59 თვის ბავშვთა მხოლოდ 58%-ს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი. თუკი გენდერული თვალსაზრისით თითქმის არანაირი სხვაობა არ შეინიშნება, საბავშვო წიგნებზე ქალაქის ბავშვებს უფრო მიუწვდებათ ხელი (73.7%), ვიდრე სოფლად მცხოვრებ ბავშვებს (40.4%). ამასთან ერთად, ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების ინდექსის (ECD Index) მიხედვით 3-დან 5 წლამდე ბავშვების 88.4% სწორად ვითარდება.

რაც შეეხება ბავშვზე **არასათანადო ზრუნვას** (არასათანადო ზრუნვად მიიჩნევა მდგომარეობა, როცა ბავშვები წინა კვირაში საათზე მეტი ხნით ერთხელ მაინც დატოვეს მარტო, ან 10 წელზე უმცროსი სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ), ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა 6.4% კვლევის დაწყების წინა კვირაში ერთხელ მაინც აღმოჩნდა დატოვებული არასათანადო ზრუნვის პირობებში. სახლში მარტო დატოვებულ 3-დან 5 წლამდე ბავშვთა ყველაზე დიდი წილი ქვემო ქართლის, იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებზე მოდის. სოფლების შინამეურნეობებში უფრო ხშირად ტოვებენ პატარა ბავშვებს მარტო, ვიდრე ქალაქების შინამეურნეობებში, და ეს, როგორც ჩანს, სულაც არ არის დამოკიდებული ოჯახის შეძლებულობაზე.

და ბოლოს, სკოლაში 7 წლის ბავშვების დასწრების მხრივ, გენდერული თვალსაზრისით, ადგილმდებარეობის მიხედვით ან უღარიბეს და უმდიდრეს კვინტილებს შორის, განსხვავება არ არსებობს. თუმცა, საშუალო სკოლაში ქალაქებში 12-18 წლის ბავშვთა 95.1% სწავლობს, ხოლო სოფლად - მხოლოდ 87.7%. ამასთან ერთად, საშუალო სკოლაში უღარიბესი კვინტილის ბავშვთა 79% დადის, მაშინ როდესაც უმდიდრესი კვინტილისთვის ეს მაჩვენებელი 96%-ს შეადგენს. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, უმაღლეს სასწავლებლებში უღარიბესი კვინტილის 16% იღებს რაიმე სახის განათლებას უმდიდრესი კვინტილის 62%-თან შედარებით.

ბავშვის კეთილდღეობა - სკოლაში დასწრება



რეკომენდაციები:

საქართველო მნიშვნელოვნად მიიწევს წინ სიღარიბესთან ბრძოლის სფეროში სოციალური ტრანსფერების, განსაკუთრებით კი პენსიებისა და მიზნობრივი სოციალური დახმარების, მეშვეობით. სიღარიბის მაჩვენებლები შემცირდა, მაგრამ ბავშვები კვლავ რჩებიან ყველაზე დაუცველ ჯგუფად. სამომავლოდ, რამდენადაც ქვეყანა ცდილობს გააააქტიუროს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და მიაღწიოს სიღარიბის შემცირებას, საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა უნდა პასუხობდეს სოციალურ გამოწვევებს, რომლებიც დგას მისი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ბავშვების წინაშე.

1. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების დაცვა მრავალმხრივი დეპრივაციისგან:

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები არაპროპორციულად მეტად დგანან დაბალი აკადემიური მოსწრების, სკოლის მიტოვებისა და ცუდი ჯანმრთელობის რისკის წინაშე. სოციალური გარიყულობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია შემუშავდეს სტრატეგია ბავშვის უფლებებისთვის, რომელიც მოიცავს მრავალ სფეროს და შესაბამისობაში იქნება ბავშვის უფლებათა კონვენციასთან.

2. ქრონიკულად ღარიბი ჯგუფების, მათ შორის, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების დაცვა:

სოციალური დაცვის სისტემა მიმართულია ქრონიკულად ღარიბ ჯგუფებზე. ამდენად, მისასალმებელია, ბოლო ხანს მიზნობრივი დახმარების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებისა და შეღავათების გაფართოვების მხრივ გაწეული ძალისხმევა. მიუხედავად ამისა, ღარიბ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების წილი მეტია, ვიდრე ზოგადად, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობისა. არსებულ სოციალურ დაცვის სისტემას შეზღუდული წვდომა აქვს ამ ჯგუფზე. შესაბამისად, დამატებითი, კარგად დაგეგმილი შეღავათებია საჭირო, რომ ამ ბავშვებმა თავი დააღწიონ სიღარიბეს და დაირღვეს სიღარიბისა და დეპრივაციის თაობათაშორისი ციკლი, სადაც ბავშვები და ოჯახები ხვდებიან.

3. საბედისწერო მოვლენების შედეგად ოჯახების გაღარიბების პრევენცია

რამდენადაც მიზნობრივი სოციალური დახმარება გამიზნულია ქრონიკულად ღარიბებზე, იგი ვერ უზრუნველყოფს სოციალური დაუცველობის ზღვარზე მყოფი, ნახევარზე მეტი მოსახლეობის ეფექტურ დაცვას. ამდენად, საჭიროა დაუცველი ოჯახების დროული უზრუნველყოფა სოციალური დაცვით, რომ მათ შეძლონ ადეკვატურად გაუმკლავდნენ ისეთ საბედისწერო მოვლენებს, როგორიცაა უმუშევრობა და ავადმყოფობა, ისე რომ არ გაღატაკდნენ. ერთ-ერთი განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფია ახალგაზრდობა, რომელსაც არა მარტო შრომის ბაზარზე უწევს გადანაცვლება, არამედ საკუთარ ოჯახებსაც ქმნის. ამ ჯგუფში მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი სწორედ მაშინ, როდესაც მათ უჩნდებათ შვილები, რამაც შესაძლოა, მეტად გამოიწვიოს მათი გაღარიბება.

4. მონაცემების გაუმჯობესებული შეგროვება ქრონიკულად ღარიბი ჯგუფების და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების უკეთ გამოვლენისა და დაცვის მიზნით:

საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები, რომ გაუმჯობესდეს მიზნობრიობა ყველაზე დაუცველი ჯგუფების, განსაკუთრებით კი ბავშვების მოცვის მიზნით. მონაცემთა შეგროვების უფრო ქმედითი მეთოდოლოგია და პრაქტიკა ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფების უკეთ მოცვას. აუცილებელია გაუმჯობესდეს ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური დაცვის სისტემებზე დისაგრეგირებული მონაცემების ხარისხი, ანალიზი და გამოყენება. უნდა შეფასდეს სოციალური დაცვის პროგრამების შედეგი დაუცველი ბავშვების კეთილდღეობაზე.

5. მედიკამენტებზე უკეთესი წვდომა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად:

საჭიროა დედებს და ბავშვებს მეტად მიუწვდებოდეთ ხელი მედიკამენტებზე საბაზისო პაკეტებისა და სუბსიდირებული სქემების მეშვეობით. პაკეტებს უნდა უზრუნველყოფდნენ საიმედო მომწოდებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს, რათა შემცირდეს რისკები, რომლებიც უკავშირდება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას და ძირითადი დაავადებებით გამოწვეულ ავადობას და სიკვდილიანობას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საბაზისო მედიკამენტებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, მედიკამენტების ხარისხის გარანტირებითა და მათი რაციონალური გამოყენების ხელშეწყობით.

6. ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემის გაძლიერება:

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემა უზრუნველყოფს სტანდარტულ ჩარჩოს ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული და საერთაშორისო ინდიკატორებთან შედარებადი ბაზის შესაქმნელად, რომელიც დააკმაყოფილებს საჯარო და კერძო სექტორის ჯანდაცვის ანალიტიკოსებისა და პოლიტიკის შემქმნელების მოთხოვნებს. ხარისხიანი და გამჭვირვალე ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემის არსებობა მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების საწინდარია.

7. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების კანონის განხორციელება ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად:

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა მცირეწლოვანი ბავშვების სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასწრების მაჩვენებელი, საქართველოს ბავშვების თითქმის ნახევარს არ მიუწვდება ხელი ადრეულ ასაკში განათლებაზე. სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში დასწრების მხრივ კვლავ საგრძნობი უთანაბრობაა და მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლებია სოფლად, სიღარიბეში მცხოვრებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობების ბავშვებში. ახლახან (2016 წლის ივნისში) მიღებული ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონი ითავლისწინებს უფასო სკოლამდელ განათლებას ყველა ბავშვისთვის და ეროვნული სტანდარტების და სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემის შემოღებას. კანონის განხორციელებას დასჭირდება სექტორში დამატებითი ინვესტიციები, მუნიციპალური თვითმმართველობების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება და გაუმჯობესებული სისტემები სკოლამდელი განათლების პედაგოგების ხარისხიანად მოსამზადებლად პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე და მუშაობის პერიოდში.

8. საგანმანათლებლო სისტემის პოტენციური მიტოვების მაჩვენებლების შემცირების მექანიზმების შემუშავება

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა არ აქვეყნებს სკოლიდან განთესილი ან ამგვარი რისკის წინაშე მყოფი ბავშვების რაოდენობას. ცალკეული შემთხვევების თანახმად, საშუალო სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზებია უკიდურესი სიღარიბე, ბავშვებში სწავლის დაბალი მოტივაცია და უნარები და ადრეული ქორწინება. უნდა შემუშავდეს მექანიზმები სკოლის პოტენციური მიტოვების დასარეგულირებლად. განათლების მეორე შანსის პროგრამები უნდა დაინერგოს ფორმალური და არაფორმალური განათლების დაწესებულებებში, რომ სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვებს შეეძლოთ ხარისხიან და ინკლუზიურ განათლების სისტემაში შესვლა ან დაბრუნება.